კომპანია როგორც მეიჯარე - საოპერაციო იჯარიდან შემოსავლის აღიარება ხდება შესაბამისი იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება და მისი აღიარება ხდება იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

კომპანია როგორც მოიჯარე - საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

□□ დივიდენდების გაცემა;

- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის;
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას;
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები;
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები;

2.10 გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო დავალიანება ეყრდნობა წლის დასაბეგრ მოგებას, რომელიც იანგარიშება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. დასაბეგრი მოგება განსხვავდება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში გაცხადებული მოგებისგან, იმ შემოსავლის ან ხარჯების

მუხლების გამო, რომლებიც დასაბეგრი ან გამოსაქვითია სხვა წლებში და აგრეთვე იმ მუხლების გამო, რომლებიც არ იბეგრება ან იქვითება. კომპანიის მიმდინარე საგადასახადო დავალიანება იანგარიშება საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით, რომლებიც ძალაშია ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის.

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი. მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

საქართველოს საგადასახადო სისტემაში ცვლილებების სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების წარმოქმნა.

გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

2.11 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის, ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის ტემონტთან აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. კომპანიას საკუთრებაში არსებულ მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება. ცვეთის დარიცხვა ხდება კლებადი ნაშთის მეთოდით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები-5%

სამედიცინო დანადგარები და მოწყობილობები 20%

სატრანსპორტო საშუალებები 20 %

საოფისე ავეჯი და ინვენტარი 20 %

სხვა 20%

2.12 მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება, გარდა გუდვილისა

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმო მიმოიხილავს მატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებას რათა განსაზღვროს, არსებობს თუ არა მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. ასეთის არსებობის შემთხვევაში, კომპანია ახორციელებს აქტივების ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებას. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება, კომპანია განსაზღვრავს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც განეკუთვნება მოცემული აქტივი. აქტივის ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული წარმოადგენს აქტივების უმცირეს ჯგუფს, რომელიც მოიცავს მოცემულ აქტივს და წარმოქმნის ფულად სახსრებს უწყვეტი გამოყენების შედეგად, რომელთა მიღება, უმეტესწილად, დამოკიდებული არ არის სხვა აქტივებიდან ან აქტივთა ჯგუფიდან ფულადი სახსრების მიღებაზე.

აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება წარმოადგენს გასვლის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდეს თანხას. აქტივის გამოყენების ღირებულება არის აქტივიდან ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულიდან მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულება.

აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება უნდა შემცირდეს მის ანაზღაურებად ღირებულებამდე იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე. შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება ხარჯის სახით მოგება-ზარალის ან სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია განსაზღვრავს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი, რომლის მიხედვით წინა წლებში აღიარებული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გაუფასურების ზარალი შესაძლოა აღარ არსებობდეს ან შემცირებული იყოს. მისი არსებობის შემთხვევაში, კომპანია აფასებს მოცემული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებად ღირებულებას. გაუფასურების ზარალის კომპენსირების შემთხვევაში იზრდება აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება, მაგრამ არაუმეტეს იმ საბალანსო ღირებულებისა, რომელიც მიღებული იქნებოდა წინა წლებში გაუფასურების ზარალის აღიარება რომ არ მომხდარიყო.

2.13 მარაგები

კომპანიის მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადაამუშავებასთან

დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

კომპანიის მარაგების ძირითადი ნაწილი მოიცავს სამედიცინო მედიკამენტებს და სახარჯ მასალებს. კომპანიის ბალანსზე არსებული ყველა სახის მარაგის ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი ღირებულების ჩამოწერის მეთოდით.

2.14 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

სარეზერვო კაპიტალი წარმოქმნილია ძირითადი საშუალებების (მიწა და შენობა) აფასების შედეგად.

2.15 ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

2.16 ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში მოსალოდნელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და

შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ჯგუფში ანარიცხი აღიარდება, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენის შედეგად და სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა, რომლის თანხის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან.

4. შემოსავლები სამედიცინო მომსახურებიდან

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის დასრულებული წლებისთვის შემოსავალი სამედიცინო საქმიანობიდან წარმოადგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
შემოსავალი პაციენტებისაგან	6,728,207	7,452,264
შემოსავალი სხივური თერაპიიდან	35,696	27,336
სულ	6,763,903	7,479,600

5. სხვა შემოსავალი

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის სხვა შემოსავალი წარმოადგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
შემოსავალი საიჯარო მომსახურებიდან	72,212	64,577
საპროცენტო შემოსავალი	3,640	87,406
სხვა შემოსულობა	988,236	13,530
სულ	1,064,088	165,513

6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2019 წლის 31 დეკემბრით და 1 იანვრის დასრულებული წლისათვის წარმოადგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
ხელფასის ხარჯი	(3,861,332)	(3,655,306)
ცვეთა და ამორტიზაცია	(682,629)	(700,212)
სამედიცინო მომსახურება	(34,725)	(45,907)
კომუნალური ხარჯი	(19,665)	(84,115)
კომუნიკაციის ხარჯები	(13,484)	(15,161)
აუდიტორული მომსახურება	(11,540)	(25,645)
დაზღვევა	(5,922)	(28,416)
სხვა საერთო ხარჯი	(417,649)	(492,729)
სულ	(5,046,946)	(5,047,491)

7. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა- ნაგებობა	დაუმთავ რებელი მშენებლ ობა	მანქანა/დან ადგარები	ოფისის დანადგა რები, აღჭურვი ლობა და ავეჯი	სამედიც ნო ინვესტარ ი	სატრან სპორტ ო საშუა ლებები	სხვა	სულ:
01.01.2019	8,357,112	7,985,537	332,508	149,582	745,678	2,168,376	316,239	14,479	20,069,511
შემოსვლა		69,526	782,952	150,651	46,510	116,866			
გასვლა									
31.12.2019	8,357,112	8,055,064	1,115,460	300,232	792,188	2,285,241	316,239	14,479	21,236,016
დაგროვილი ცვეთა									
01.01.2019		782,324		54,001	505,996	960,420	26,021		2,328,762
ცვეთა		276,694		52,448	77,486	252,938	23,063	0	682,629
გასვლა									
31.12.2019		1,059,018	0	106,449	583,482	1,213,358	49,084	0	3,011,390
წმინდა საბალანსო ღირებულება									
01.01.2019	8,357,112	7,203,214	332,508	95,581	239,682	1,207,956	290,218	14,479	17,740,749
31.12.2019	8,357,112	6,996,046	1,115,460	193,783	208,706	1,071,883	267,155	14,479	18,224,625

შპს „კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტი“
 ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
 (ლარი)

8. მარაგები

მარაგები 2019 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2019	01.01.2019
სამედიცინო მედიკამენტები	164,279	132,742
სამედიცინო სახარჯი მასალები	10,558	10,406
საწვავი	25,826	4,974
ნედლეული და მარაგები -სამშენებლო მასალები	1,228,883	42,968
სულ:	1,429,547	191,090

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2019 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2019	01.01.2019
სავაჭრო მოთხოვნები	1,058,587	972,761
სულ ფინანსური მოთხოვნები	597,195	972,761
სხვა გადახდილი ავანსები	231,211	210,124
სხვა მოთხოვნები	1,399	
წინასწარ გადახდილი გადასახადები	364,585	
სულ მოთხოვნები	1,655,782	1,182,885

10. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2019 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2019	01.01.2019
ფული ბანკში	59,780	1,037,731
ფული სალაროში	1,175,289	207,889
სულ	1,235,069	1,245,620

შპს „კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტი“
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ლარი)

11. მიღებული სესხები

მიღებული სესხები 2019 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2019	01.01.2019
სესხები ფინანსური ინსტიტუტისგან	377,092	436,898
სულ გმელვადიანი სესხები	377,092	436,898

	31.12.2019	01.01.2019
სესხები პარტნიორებისაგან	67,085	0
სულ მიმდინარე სესხები	67,085	0
სულ სესხები	444,177	436,898

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2019 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2019	01.01.2019
სავაჭრო ვალდებულებები	169,605	121,543
გადასახდელი ხელფასები	868	868
მიღებული ავანსები	3,604	1,887
სხვა ვალდებულებები	683	
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	174,761	124,298

13. ფინანსური ინსტრუმენტები -რისკების მართვა

კომპანიას ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია :

- ☐ საპროცენტო რისკი
- ☐ საკრედიტო რისკი
- ☐ უცხოური ვალუტის რისკი
- ☐ ლიკვიდურობის რისკი

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

კომპანიას ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მიღებულ სესხებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია კომპანიას ფინანსური უზრუნველყოფა. კომპანიას გააჩნია ისეთი ფინანსური აქტივები როგორიცაა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ფული და ფულის ეკვივალენტები.

შპს „კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტი“
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ლარი)

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები 2019 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2019	01.01.2019
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,655,782	1,182,885
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,235,069	1,245,620
სულ ფინანსური აქტივები	2,890,851	2,428,505
	31.12.2019	31.12.2019
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	174,761	124,918
სესხები და ფინანსური იჯარა	444,177	436,898
სულ ფინანსური ვალდებულებები	618,938	561,816

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

კომპანიის სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალურ ფინანსური ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივის და ვალდებულებისთვის მოითხოვება რეალური ღირებულების განმარტება. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულების შეფასებისათვის კომპანია იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. რეალური ღირებულების შეფასებას კომპანია ახდენს შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე:

- დონე 1: აქტიურ ბაზარზე იდენტური ერთეულის კოტირებული ფასების გამოყენებით (არაკორექტირებული);
- დონე 2: თუ ასეთი ფასი არ არსებობს, სხვა პირდაპირ ან არაპირდაპირი ემპერიული მონაცემების მიხედვით, როგორცაა ისეთი ბაზრის კოტირებული ფასი, რომელიც არ არის აქტიური იმ იდენტური ერთეულისათვის, რომელსაც სხვა მხარე ფლობს, როგორც აქტივს;
- დონე 3: არასაბაზრო მონაცემების საფუძველზე. თუ პირველ და მეორე დონეებში აღწერილი ემპერიული ფასები არ არსებობს, მაშინ ხდება შეფასების სხვა მეთოდების გამოყენება.

რეალური ღირებულების კლასიფიკაცია დონეებად დამოკიდებულია გამოყენებული ინფორმაციის დონეზე და რეალური ღირებულების გაანგარიშებაში მის მნიშვნელობაზე. დონეებს შორის გადატანა აისახება იმ პერიოდში, როდესაც ადგილი აქვს ასეთ მოვლენას.

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. კომპანია ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაციის საფუძველზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში, და სათანადო შეფასებების მეთოდების გამოყენებით. სამართლიანი ღირებულების დასადგენად, საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაციისთვის განსჯის გამოყენებაა საჭირო. საქართველო კვლავაც ავლენს განვითარებადი ბაზრისათვის დამახასიათებელ ნიშნებს და ეკონომიკური პირობები ისევ ზღუდავს ფინანსურ ბაზრებზე საქმიანობის მოცულობას. საბაზრო კოტირებები შეიძლება მოძველებული იყოს, იძულებითი რეალიზაციის გარიგებებს ასახავდეს და ამიტომ არ წარმოდგენდეს

შპს „კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტი“
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ლარი)

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებას. კომპანია ყველა არსებულ საბაზრო ინფორმაციას იყენებს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად.

ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება დგინდება იდენტურ ფინანსურ ინსტრუმენტებზე პირველადი აღიარების დროს დაფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთსა და მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების შედარების შედეგად. ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება გამომდინარეობს ფულადი სახსრების ნაკადის ღირებულებიდან, რომელიც დისკონტირებულია ფულის ბაზრის მიმდინარე იმ საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკისა და ვადიანობის ფინანსური ინსტრუმენტებისათვის. კომპანიას ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება, რომელიც არის ლიკვიდური და ხასიათდება მოკლევადიანობით ან აქვს მცოცავი საპროცენტო განაკვეთი, უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას.

ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხების და ფინანსური იჯარის მეორე დონის მიხედვით შეფასებული რეალური ღირებულება ეფუძნება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას. დისკონტირების განაკვეთი სესხებისთვის მერყეობს 8%-დან 12%-მდე, ხოლო ფინანსური იჯარის, 16%-დან 27%-მდე, რომელიც ემთხვევა საბაზრო განაკვეთს.

ფულისა და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით, ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხების და ფინანსური იჯარის რეალური ღირებულება შეფასებულია

მეორე დონის მიხედვით, სხვა დანარჩენი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება განსაზღვრულია მესამე დონის საფუძველზე.

კაპიტალის მართვა

კომპანია თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგებისმაქსიმიზაცია,

მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. კომპანიას ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას. ასეთი განხილვების ფარგლებში,

კომპანიას ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანია აბალანსებს მთლიანი კაპიტალის სტრუქტურას დივიდენდების გაცემით, აღებული სესხის თანხით კაპიტალის ზრდით და არსებული სესხების დაფარვით.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიას ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიას რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიას ფინანსური მხარისთვის. კომპანიას ხელმძღვანელობა ღებულობს ყოველთვიურ ანგარიშგებას კომპანიას ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების

შპს „კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტი“
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ლარი)

ეფექტურობას. კომპანიას ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის დაიცვას კომპანია რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს. აღნიშნულ პოლიტიკასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები. კომპანია არ იყენებს არანაირ დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის. უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო 2019 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2019		01.01.2019	
	აშშ დოლარი	ევრო	აშშ დოლარი	ევრო
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	0		0	
ფული და ფულის ექვივალენტები	210,733	937,990	46,453	626,934
სულ ფინანსური აქტივები	210,733	937,990	46,453	626,934
	31.12.2019		01.01.2019	
	აშშ დოლარი	ევრო	აშშ დოლარი	ევრო
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	0			0
სესხები და ფინანსური იჯარა	377,092		777,053	
სულ ფინანსური ვალდებულება	377,092		777,053	
წმიდა სავალუტო პოზიცია	(166,359)	937,990	(730,599)	626,934

მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიას მგრძნობელობას შესაბამისი უცხოური ვალუტების ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება კომპანიას ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას კომპანიას ხელმძღვანელობის მიერ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით. გავლენა წმინდა მოგებასა და კაპიტალზე აქტივების ღირებულების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შპს „კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტი“
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
(ლარი)

	აშშ დოლარი/ლარი 20%	აშშ დოლარი/ლარი -20%	ევრო/ლარი 20%	ევრო/ლარი -20%
მოგება/ზარალი	(33,272)	33,272	187,598	(187,598)

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიას ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია არ დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგანაც კომპანიას არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე მიღებული სესხები.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანიას საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიას საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან, საბანკო დეპოზიტებიდან და ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა).

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძველიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდძალი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას.

საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, კომპანია მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადადაცილების სტატუსის მიხედვით. საკრედიტო რისკის სამართავად კომპანია განიხილავს შემდეგ ფაქტორებს: მომხმარებელი იურიდიული პირია თუ ფიზიკური, ბითუმად მოვაჭრეა თუ საცალოდ, მომხმარებლების გეოგრაფიულ განაწილებას და წარსულში ფინანსური სიძნეელების არსებობას. მაღალრისკიანი მომხმარებლები გაერთიანებულია შეზღუდულ მომხმარებელთა ჯგუფში და მათზე რეალიზაცია ხორციელდება წინასწარი ანაზღაურების საფუძველზე.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა 2019 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2019	01.01.2019
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,655,782	1,182,885
ფული და ფულის ეკვივალენტები გარდა ნაღდი ფულისა	1,235,069	1,245,620
სულ	11,023,744	4,799,854

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა ახორციელებს სისტემატურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ფინანსური ვალდებულებების კატეგორიების ლიკვიდურობის ანალიზი იმისდა მიხედვით, თუ როდის არის მოსალოდნელი მათი დაფარვა. ამ ცხრილებში წარმოდგენილი თანხები შესაძლოა არ შეესაბამებოდეს სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალურ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხულ თანხებს, რადგან ქვემოთ წარმოდგენილი ინფორმაცია მოიცავს ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზს, რაც უთითებს ხელშეკრულების მიხედვით დარჩენილ მთლიან დაუდისკონტირებელ გადახდებს საპროცენტო დავალიანების ჩათვლით.

14. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებს, საერთო მფლობელობაში არსებულ კომპანიებს, ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებს. როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

კომპანიას დაკავშირებული მხარის სახით ყავს შპს „კლინიკური კარგიოლოგიის ინსტიტუტი“, სადაც მისი წილობრივი მონაწილეობა განისაზღვრება 10 %-ით და შემოსავლის სახით 2019 წელს მიღებული აქვს 2105 ლარი. სხვა ოპერაციები მხარეებს არ გააჩნიათ.

15. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები - 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციისაგან, კომპანიას ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი დარიცხული აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში. სასაგადასახო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია მნიშვნელოვან მოვლენებს.

საქმიანობის მიმოხილვა

სუბიექტის განვითარების გეგმები

შპს „კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტი“ (შემდეგში - „ინსტიტუტი“) წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს, მისი სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმაა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საიდენტიფიკაციო კოდი: 404905821.

თავდაპირველად, 2011 წლის ივლისში დაარსდა და 2012 წლის ივნისიდან ფუნქციონირებას შეუდგა შპს კ. მადიჩის სახ.მამოლოგიის ცენტრი“ (შემდგომში - ცენტრი). ცენტრი დაკომლექტებული იყო მაღალკვალიფიციური სამედიცინო პერსონალით და თანამედროვე აპარატურით, რაც უზრუნველყოფდა პაციენტების თანამედროვე სტანდარტების შესაბამის სამედიცინო მომსახურების მიწოდებას. იმ დროისთვის ცენტრში არსებული უმაღლესი სამედიცინო მომსახურების გამო პაციენტების რაოდენობა დღითიდღე იზრდებოდა. ცენტრს 2015 წლის 14 იანვრიდან შეეცვალა სახელი და ეწოდა შპს „კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტი“ – (შემდეგში - ინსტიტუტი). ინსტიტუტი დაარსების დღიდან წარმატებით, ყოველწლიურად მზარდი სტატისტიკით, ეწევა სამედიცინო/ონკოლოგიურ სფეროში საქმიანობას.

ინსტიტუტი ბიზნესის განვითარების ძირითად პრიორიტეტად მიიჩნევდა და მიიჩნევს პაციენტებისთვის მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურების მიწოდებას. მომსახურების მაღალი ხარისხის შენარჩუნების და უფრო მეტად გაუმჯობესების მიზნით დღის წესრიგში დადგა კლინიკის გაფართოვების და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლების აუცილებლობა.

2014 წლის 23 დეკემბრის N: 2014120252761 ნასყიდობის ხელშეკრულებით აუქციონის გზით შეძენილი იქნა, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსგან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების - 5'832 კვ/მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 01.13.02.006.037). საერთო ღირებულებით 1'435'000.00 ლარი.

2015 წლის 02 აპრილის N2015022353436 უ.უ. ნასყიდობის ხელშეკრულებით, ასევე აუქციონის გზით, შეძენილი იქნა, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსგან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების - 2374 კვ/მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 01.13.02.006.027). საერთო ღირებულებით 500 000.00 ლარი.

2016 წლის 06 იანვარის ნასყიდობის ხელშეკრულებით შპს „ლენკომპანი“-სგან (ს/კ 404860673) შეძენილი იქნა მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდი: 01.13.02.006.032, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების - 2116 კვ.მ საერთო ღირებულებით 750000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში.

ზემოჩამოთვლილ მიწის ნაკვეთები ემიჯნება ერთმანეთს. მოხდა მათი გაერთიანება და საერთო ფართობი შეადგინა 10322კვ.მ. (ს.კ.01.13.02.006.039).

გაერთიანებულ მიწაზე თავიდან დაგეგმილი იყო დაახლოებით 15 000 მ2 ფართის თანამედროვე ონკოლოგიური ჰოსპიტალის მშენებლობა, მაგრამ ბიზნესის წარმოების ოპტიმიზაციის შედეგად შეიცვალა განვითარების გეგმა.

პირველი ეტაპისთვის, დაიგეგმა და მაქსიმალურად უმოკლეს ვადაში განხორციელდა, შედარებით მცირე ზომის, დამატებითი სამედიცინო შენობის მშენებლობა. შენობა სრულად აკმაყოფილებს სამედიცინო საქმიანობისთვის განსაზღვრულ კრიტერიუმებს, აღჭურვილია თანამედროვე სპეციალიზაციო, სახანძრო და სხვა უსაფრთხოების

სისტემებით. შენობაში განთავსებულია უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი მორფოლოგიური ლაბორატორია, კომპიუტერული ტომოგრაფიის განყოფილება, სხვადასხვა პროფილის ექიმების სამუშაო ოთახები და ადმინისტრაცია სრულად.

კლინიკაში შემუშავებულია და დანერგილია ხარისხის მენეჯმენტის სისტემა, რომლის მიზანია:

- კლინიკაში ხარისხის პოლიტიკის შემუშავება და დანერგვა
- პაციენტის მოთხოვნების შესაბამისი ხარისხის სამედიცინო სერვისების მიწოდება
- კონკურენტუნარიანობის და მოგების გაზრდა

შპს კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტი უწყვეტად აგრძელებს განვითარებას და განახლების პროცესს:

- ახალი და ულტრათანამედროვე სამედიცინო ჰოსპიტალის მშენებლობა - ამჟამად მიმდინარეობს 20 000 მ2 ჰოსპიტალის მშენებლობა. მსგავსი მასშტაბის კერძო პროექტი ონკო-სამედიცინო სფეროში არ განხორციელებულა საქართველოში და მთელ რეგიონშიც კი. აღნიშნული პროექტის განხორციელება მიზნად ისახავს რეგიონალური სამედიცინო ჰაბის შექმნას, რომელიც აამაღლებს სამედიცინო მომსახურების ხარისხს ქვეყანაში, შექმნის დამატებით ასობით სამუშაო ადგილს, ხელს შეუწყობს სამედიცინო ტურიზმის განვითარებას და მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. ამ ეტაპზე დასრულებულია სამშენებლო პროექტით გათვალისწინებული სამედიცინო კორპუსის საძირკვლის მოწყობის სამუშაოები. მომდევნო უახლოეს წლებში საზოგადოება გეგმავს მთელი თავისი შემოსავლები (გარდა კლინიკის სრულფასოვანი

ფუნქციონირებისთვის საჭირო თანხებისა) მიმართოს ზემოაღნიშნული პროექტის დროულად განსახორციელებლად.

- ახალი სამედიცინო მიმართულებების დანერგვა - ახალ ჰოსპიტალში შესაძლებელი იქნება სრული სპექტრის ონკოლოგიური სამედიცინო მომსახურების მიღება (დიაგნოსტიკა, ქირურგიული, ქიმიოთერაპიული და ჰორმონოთერაპიული და სხივური მკურნალობა და ა.შ.)
- სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება - ინსტიტუტში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა სამედიცინო პერსონალის მუდმივ გადამზადებას და მათი კვალიფიკაციის ამაღლებას.
- უახლესი ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგვა - ინსტიტუტის დაარსების დღიდან უწყვეტად მიმდინარეობს ინსტიტუტის აღჭურვა უახლესი სამედიცინო აპარატურით და მოწყობილობებით.
- უწყვეტად მიმდინარეობს სამედიცინო, მორფოლოგიური თუ ზოგადი ლაბორატორიული აპარატურის გაუმჯობესება და უახლოესი ტექნოლოგიების კვლევა.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში რამდენჯერმე ჩატარდა პაციენტების აზრის კვლევა სამედიცინო მომსახურების ხარისხთან დაკავშირებით და შედეგებზე დაყრდნობით განისაზღვრა სამოქმედო გეგმები.

თანამშრომლების შესახებ ინფორმაცია

სულ ინსტიტუტში დასაქმებულია 160 თანამშრომელი

მამაკაცი თანამშრომელი - 70

ქალი თანამშრომელი - 90

საერთაშორისო კვლევებში მონაწილეობა

ინსტიტუტი დაარსების დღიდან აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან და აქტიურადაა ჩართული სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო კვლევებში.

ძირითადი ხარისხობრივი და არაფინანსური

მაჩვენებლები

შპს კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტში ყოველწლიურად იზრდება ამბულატორიული მომსახურების, დიაგნოსტიკური კვლევების და ოპერაციების რაოდენობა. იხ. ცხრილი

სერვისები	2017 წელი	2018 წელი	2019 წელი
კონსულტაციები	12 009	13 109	12 202
ექსკოპია	8 437	9 039	8 231
ენდოსკოპია	1 778	1 382	1 459
რენტგენი	3 122	3 304	3 053
ლაბორატორია	22 137	32 731	35 506
მამოგრაფია	1 980	1 919	1 716
CT კვლევა	694	1 560	1 720
მორფოლოგიური ლაბორატორია	1 830	2 354	2 204
მანიპულაციები	398	580	469
ციტოლოგია	1 217	1 706	1 547
ქიმიოთერაპია	2 902	3 076	4 451
ენდოსკოპიური ოპერაციები	119	85	96
ქირურგია	1 399	1 451	1 338

კლინიკაში დანერგილი მაღალი ხარისხის მომსახურება, ექიმთა მაღალი პროფესიონალიზმი, ყურადღებიანი და თბილი გარემო, კლინიკის ადმინისტრაციის მხრიდან პაციენტთა მომსახურების ხარისხის ზრდაზე და სანდოობაზე განსაკუთრებული დამოკიდებულება განაპირობებს, წლიდან წლამდე პაციენტების მომართვიანობის ზრდას.

ხარისხობრივი მაჩვენებლები:

კლინიკის ადმინისტრაციის მხრიდან სისტემატიურად ტარდება სტაციონარული პაციენტების ანონიმური გამოკითხვა მომსახურების ხარისხზე. ასევე წელიწადში რამდენჯერმე ტარდება ამბულატორიული პაციენტების გამოკითხვა. კლინიკაში სრულად დაცულია პაციენტის პირადი უფლებები და ხელშეუხებლობა. სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება მიმდინარეობს ყველა საერთაშორისო სტანდარტის დაცვით. მიუხედავად ჩვენი პაციენტების დაავადებების სიმძიმისა კლინიკაში მინიმუმადეა დაყვანილი სიკვდილიანობა.

ინფორმაცია აქციების შეძენის და წილის გასხვისების შესახებ

შპს კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტი 2017 წლის 2 ივნისიდან ფლობს შპს კლინიკური კარდიოლოგიის ინსტიტუტის აქციების 10%-ს, რომელიც შესყიდულ იქნა 120895 ლარად.

მიმდინარე წელს საზოგადოების წილის გასხვისება არ მომზდარა.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

შპს კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტში არსებული რისკებია:

1. ბიზნესგარემოს რისკი - კონკურენტი ორგანიზაციების მიერ მაღალკვალიფიციური კადრების გადაბირება;

2. ფინანსური რისკი - ქვეყანაში არსებული ინფლაციის ფონზე საყოველთაო ჯანდაცვის და სხვადასხვა სადაზღვევო კომპანიების მიერ თანხების დაგვიანებით ანაზღაურება;
3. ინფლაციის რისკი - ქვეყანაში ფასების დამოკიდებულება ვალუტის კურსზე, მუდმივად ცვალებადი კურსი და ინფლაციის ხარისხი მასშტაბურად ზრდის საწარმოო ხარჯებს. გაზრდილი ხარჯების დაბალანსება, გაწეული მომსახურების ფასების გაზრდის გზით, ვერ ხერხდება წლების წინ (საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ამოქმედების დრო) საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში ფიქსირებული ფასების გამო;
4. მაღალი დონის, პროფესიონალი სამედიცინო პერსონალის დენადობის რისკი და მათი სწრაფად და უმტკივნეულოდ ჩანაცვლების შესაძლებლობა, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს კლინიკაში პაციენტების რაოდენობაზე. ამ რისკების მეტნაკლები განეიტრალება მიმდინარეობს პარალელურ რეჟიმში კვალიფიციური სამედიცინო პერსონალის მოძიებით, სამსახურში აყვანით, გადამზადება-კვალიფიკაციის ამაღლების და მათი შენარჩუნების პოლიტიკით.

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობითი ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 28 სექტემბერს.

შპს კლინიკური ონკოლოგიის

ინსტიტუტის დირექტორი

ლ. მსხვილიძე


